

შპს „ალგანი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს “ალგანი”

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
1 ზოგადი ინფორმაცია.....	6
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები.....	6
3 სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4 ამონაგები	13
5 გაწეული მომსახურების და გაყიდული საქონლის თვითღირებულება.....	13
6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	13
7 წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი).....	13
8 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14
9 მოგების გადასახადი	14
10 ძირითადი საშუალებები	15
11 მარაგები	16
12 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	16
13 ფული და ფულის ექვივალენტები	16
14 მიღებული სესხები	16
15 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17
16 საგადასახადო ვალდებულებები.....	17
17 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	17
18 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	17

შპს „ალგანი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3.675.404	3.281.731
არამატერიალური აქტივები		22.351	21.858
სულ გრძელვადიანი აქტივები		3.697.755	3.303.589
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	578.588	504.987
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12	2.861.000	1.767.347
გადახდილი ავანსები		72.222	141.668
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13	567.857	471.550
სულ მოკლევადიანი აქტივები		4.079.667	2.885.552
სულ აქტივები		7.777.422	6.189.141
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		14.595	14.595
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4.843.271	4.816.539
სულ კაპიტალი		4.857.866	4.831.134
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	14	601.151	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		601.151	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	14	426.155	26.806
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	1.238.681	962.162
საგადასახადო ვალდებულებები	16	653.569	369.039
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2.318.405	1.358.007
სულ ვალდებულებები		2.919.556	1.358.007
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7.777.422	6.189.141

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს.

რამაზ დევდარიანი
 დირექტორი

შპს „ალგანი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	4	16.967.094	13.833.009
გაწეული მომსახურების და გაყიდული საქონლის თვითღირებულება	5	(9.959.395)	(8.370.871)
საერთო მოგება		7.007.699	5.462.138
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(5.273.742)	(4.496.671)
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	7	(323.235)	(13.856)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	8	33.162	408.717
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		1.443.884	1.360.328
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(215.949)	(228.594)
წმინდა მოგება / (ზარალი)		1.227.935	1.131.734
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოგვალი		1.227.935	1.131.734

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს.

 რამაზ დევდარიანი
 დირექტორი

შპს „ალგანი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14.595	4.955.516	4.970.110
წლის მოგება / (ზარალი)	-	1.131.734	1.131.734
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	1.131.734	1.131.734
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-	(1.270.710)	(1.270.710)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14.595	4.816.539	4.831.134
წლის მოგება / (ზარალი)	-	1.227.935	1.227.935
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	1.227.935	1.227.935
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-	(1.201.203)	(1.201.203)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14.595	4.843.271	4.857.866

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს.

რამაზ დევდარიანი
 დირექტორი

შპს „ალგანი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	1.227.935	1.131.734
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	1.285.177	900.968
- მოგების გადასახადი	215.949	228.594
- ცვეთა	806.336	723.089
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(60.343)	(64.570)
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	198.502	13.747
- წმინდა ფინანსური ხარჯი	124.733	109
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(536.759)	76.351
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(1.024.207)	(66.655)
- მარაგები	(73.601)	(53.832)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	276.519	78.991
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	284.530	117.847
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1.976.353	2.109.053
- მიღებული პროცენტი	7.556	9.032
- გადახდილი პროცენტები	(132.289)	(9.141)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(215.949)	(228.594)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1.635.671	1.880.350
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(1.224.145)	(1.263.600)
- არამატერიალური აქტივის შეძენა	(3.815)	(4.238)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	87.801	527.290
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1.140.159)	(740.548)
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა (შემცირება)	1.000.500	(73.762)
- გადახდილი დივიდენდები	(1.201.203)	(1.270.710)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(200.703)	(1.344.472)
ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	294.809	(204.670)
ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	471.550	679.142
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(198.502)	(2.922)
ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	567.857	471.550

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს.

რამაზ დევდარიანი
 დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალგანი“ დაფუძნდა 2004 წლის 10 დეკემბერს, სარეგისტრაციო ნომრით 2/4-4215, საიდენტიფიკაციო ნომერი 202246097, იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N8.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ალგანის“ პარტნიორები არიან ფიზიკური პირები, ალექსანდრე გაგნიძე და გრგოლ ნემსაძე (წილის მმართველი მანანა აბაშიძე, პ/ნ 01024041081) 50%-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

შპს „ალგანი“ (შემდგომში-საწარმო) ძირითად წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დაცვის მომსახურების გაწევას და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლის მიწოდება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკურ გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2022 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 885 (2021 – 1,081).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ნაჩვენებია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3 სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კეთილმოწყობას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. კეთილმოწყობის ცვეთის ხარჯის აღიარება ხდება სხვა დანარჩენი შენობებისგან განცალკევებით წრფივი მეთოდით. შენობები მოიცავს ასევე ღობეს, რომელსაც სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვს 10 წელი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	10-50 წელი, 2-10%
მანქანა-დანადგარები	5 წელი, 20%
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი, 20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი, 20%
ტრანსპორტი	4 წელი, 25%
სხვა ძირითადი საშუალებები	ხელშეკრულების შესაბამისად;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- ლიცენზიები 10 წელი
- პატენტები 10 წელი
- პროგრამული უზრუნველყოფა 10 წელი
- აუდიო-ვიდეო პროდუქცია 3 წელი
- სხვა არამატერიალური აქტივები 10 წელი

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნები-სმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდა-

შპს „ალგანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

რდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განსაზღვრავს მომავალთან დაკავშირებით გამოყენებულ ძირითად დაშვებების და აგრეთვე საანგარიშგებო თარიღისათვის განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებულ სხვა ძირითად წყაროებს, რომელთა გამოც არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკი მომდევნო ფინანსურ წელს. საწარმო განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები შეიძლება შეეხოს, მოსალოდნელი სავალუტო კურსის მერყეობით გამოწვეული კრედიტორული და დებიტორული ვალდებულების ცვლილებას.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ექვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მარაგები

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი საწყისი აღიარების შემდგომ კლასიფიცირდება და ფასდება:

- ამორტიზებული ღირებულებით;
- რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; ან
- რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

წარსადგენ პერიოდში საწარმოს არ გააჩნდა რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარდება მოგებაში და ზარალში, აისახება ფინანსური ხარჯების, ფინანსური შემოსავლების ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომელიც აისახება სხვა ხარჯების შემადგენლობაში.

შპს „ალგანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასახდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ რომელიმე სხვა მსგავს არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან (სხვა საწარმოდან) მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის

შპს „ალგანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ შენატანს მასში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს საანგარიშგებო და წინა პერიოდებში დაგროვილ და გაუნაწილებელ მოგებას.

შპს „ალგანი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

ამონაგების აღიარება

საწარმოს ამონაგების წყაროს წარმოადგენს დაცვის მომსახურების გაწევა და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლის რეალიზაცია. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

საწარმოს მიერ მისი აქტივების გამოყენებიდან მიღებულ სარგებლს, როგორცაა პროცენტი, აღიარებს ამონაგებად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით თუ მოსალოდნელია ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში; და შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება. კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული სადეპოზიტო ანგარიშებიდან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „ალგანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4 ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	16.943.703	13.763.501
შემოსავალი დღგ-ს ნულოვანი დაბეგვრით	12.849	10.162
სხვა შემოსავალი	12.868	59.969
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(2.326)	(623)
სულ ამონაგები	16.967.094	13.833.009

5 გაწეული მომსახურების და გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2022	2021
ძირითადი მასალების დანახარჯები	752.919	734.752
შემძენილი მომსახურება	-	34
შრომის ანაზღაურება	9.208.202	7.636.552
შემძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	(1.726)	(467)
სულ გაწეული მომსახურების და გაყიდული საქონლის თვითღირებულება	9.959.395	8.370.871

6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
რეკლამის ხარჯები	34.737	26.983
შრომის ანაზღაურება	2.547.533	2.187.885
იჯარის ხარჯი	362.883	382.300
კომუნიკაციის ხარჯები	154.952	120.070
დაზღვევის ხარჯები	44.553	40.420
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	196.987	155.174
ცვეთა და ამორტიზაცია	806.336	723.089
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	28.203	29.538
კომუნალური ხარჯები	79.003	69.042
საწვავის ხარჯი	620.179	454.913
მიმდინარე რემონტის ხარჯი	144.984	89.823
იურიდიული მომსახურების ხარჯი	24.000	24.000
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	47.499	35.148
სამეურნეო ხარჯი	15.612	10.842
სპეცტანსაცმლის ხარჯი	136	1.568
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	2.119	11.441
საპენსიო ფონდის ხარჯები	164.026	134.435
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5.273.742	4.496.671

7 წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	7.556	9.032
კურსთაშორისი სხვაობა	(198.502)	(13.747)
საპროცენტო ხარჯი	(132.289)	(9.141)
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	(323.235)	(13.856)

შპს „ალგანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

8 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2022	2021
არასაოპერაციო შემოსავალი	89.798	116.545
სახელმწიფო შეღავათი*	-	444.559
არასაოპერაციო ხარჯი	(56.636)	(152.387)
სულ წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	33.162	408.717

* სახელმწიფო შეღავათი წარმოადგენს მიმდინარე გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ დაწესებულ საშემოსავლო გადასახადის შეღავათს.

9 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 215.949 ლარი (2021: 228.594 ლარი)

შპს „ალგანი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10 ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის მოწყობილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2020	370.530	-	1.225.652	1.314.523	1.396.930	133.691	993.264	4.813	5.439.403
შემოსვლა	-	-	13.176	281.639	572.177	8.138	388.470	-	1.263.600
გასვლა	-	-	-	(37.605)	(324.170)	(2.138)	(252.251)	-	(616.164)
31 დეკემბერი 2021	370.530	-	1.238.828	1.558.557	1.644.937	139.691	1.129.483	4.813	6.086.839
შემოსვლა	-	-	528	545.506	391.583	5.835	280.354	339	1.224.145
გასვლა	-	-	-	(1.185)	(31.318)	-	(146.483)	-	(178.986)
31 დეკემბერი 2022	370.530	-	1.239.356	2.102.878	2.005.202	145.526	1.263.354	5.152	7.131.998
31 დეკემბერი 2020	-	-	61.534	836.585	755.292	73.489	510.988	3.360	2.241.248
ცვეთის ხარჯი	-	-	31.698	197.682	294.260	24.086	168.125	1.453	717.304
გასვლა	-	-	-	(35.758)	(40.885)	(1.081)	(75.720)	-	(153.444)
31 დეკემბერი 2021	-	-	93.232	998.509	1.008.667	96.494	603.393	4.813	2.805.108
ცვეთის ხარჯი	-	-	31.703	267.395	326.619	25.522	151.775	-	803.014
გასვლა	-	-	-	(459)	(31.318)	-	(119.751)	-	(151.528)
31 დეკემბერი 2022	-	-	124.935	1.265.445	1.303.968	122.016	635.417	4.813	3.456.594
31 დეკემბერი 2020	370.530	-	1.164.118	477.938	641.638	60.202	482.276	1.453	3.198.155
31 დეკემბერი 2021	370.530	-	1.145.596	560.048	636.270	43.197	526.090	-	3.281.731
31 დეკემბერი 2022	370.530	-	1.114.421	837.433	701.234	23.510	627.937	339	3.675.404

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს.

შპს „ალგანი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11 მარაგები

	31-12-22	31-12-21
ნედლეული და მასალები	280.719	247.138
საქონელი	297.869	257.849
სულ მარაგები	578.588	504.987

12 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2.849.640	1.760.273
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11.360	7.074
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2.861.000	1.767.347

13 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31-12-22	31-12-21
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	558.718	405.782
ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა	701	37.179
ფული სალაროში	8.438	28.589
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	567.857	471.550

2022 წელს გენერირებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 7.556 ლარი (2021: 9.032 ლარი).

14 მიღებული სესხები

	31-12-22	31-12-21
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	601.151	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	426.155	26.806
სულ მიღებული სესხები	1.027.306	26.806

2022 წლის 7 მარტს კომპანიამ აიღო გრძელვადიანი სესხი სს „პროგრედიტ ბანკისგან“, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ფიქსირებულ 12.5%-ს, ხოლო სესხის დაფარვის ვადა არის 2025 წლის 7 მარტი.

შპს „ალგანი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

15 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	337.553	232.886
საიჯარო ვალდებულებები	13.930	16.633
თანამშრომლების ხელფასების და პრემიების ვალდებულებები	880.660	711.861
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6.538	782
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1.238.681	962.162

16 საგადასახადო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 653.569 ლარის ოდენობის ვალდებულება საგადასახადო ბარათზე (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 369.039 ლარის)

17 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2022 წლის განმავლობაში შეადგენდა 86.447 ლარს (2021: 80.883 ლარი).

კომპანიას არ ჰყავს დაკავშირებული მხარეები, რომლებიც ნაშთების ან/და ტრანზაქციების გამჟღავნებას საჭიროებს.

18 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2023 წლის აგვისტოს საანგარიშგებო თვის ჩათვლით კომპანიამ გაანაწილა 872.728 ლარის დივიდენდები.

როგორც ეს ნაჩვენებია პირველ განმარტებით შენიშვნაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ალგანის“ პარტნიორები იყვნენ ფიზიკური პირები, ალექსანდრე გაგნიძე და გრიგოლ ნემსაძე (წილის მმართველი მანანა აბაშიძე, პ/ნ 01024041081) 50%-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

2023 წლის 17 თებერვალს განხორციელდა წილის მმართველის გაუქმება/განთავისუფლება, ხოლო 2023 წლის 15 მარტს გრიგოლ ნემსაძემ თავისი კუთვნილი 50%-იანი წილიდან 25% მიჰყიდა ალექსანდრე გაგნიძეს, შესაბამისად, ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის კომპანიის პარტნორთა სტრუქტურა არის შემდეგი:

ალექსანდრე გაგნიძე - 75%

გრიგოლ ნემსაძე - 25%